



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შეფასების თარიღი: 8.10.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|-------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204909858 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|--|-----------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სტომატოლოგია |
| განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | დიპლომირებული სტომატოლოგი (0911.) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 300 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული 13.12.2014 #277 |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო კორსანტია , თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკატერინე ბეშკენაძე , თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანდა ლურსმანაშვილი , კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვახტანგ თეზიძე , თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 1998 წლიდან, პროგრამის ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წლის 13 დეკემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #277 ოქმის გადაწყვეტილებით. ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს.

უკვე აკრედიტებული პროგრამით საქართველოს უნივერსიტეტში სწავლობს 98 აქტიური სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული აქვს 17 სტუდენტს.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 30 აკადემიური (14 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი) და 17 მოწვეული პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტისთვის ცოდნის მიცემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტები იღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, უმეტესად მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის, ექიმის ასისტირების და პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარების გზით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2019 წლის 8 ოქტომბერს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადმოგვეცა ადგილზე, წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა, სწავლების მეთოდები ერთმანეთთან და პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნები მიმართულია ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, სპეციალობის სავალდებულო კლინიკური სასწავლო კურსების სწავლების მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის რესურსებთან და სწავლების შედეგებთან, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით, თუმცა ნაწილობრივ სტუდენტის კლინიკური გამოცდილების თვალსაზრისით. პროგრამის მიზნები უმეტესწილად თანხვედრაშია გეომედის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი (მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარების

მიმართულებით) უკვე განხორციელების პროცესშია. თუმცა, პროგრამის მიზნებში ნაკლებად ჩანს მათი თანხვედრა გეომედის მისიის უპირველეს განაცხადთან, როგორცაა „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება“. გარდა ამისა, პროგრამის მიზნებში ნაკლებად არის ასახული გეომედის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული საკითხები.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია, გაპარულია შეცდომები, უზუსტობები, დასალაგებელია პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა, არც ერთ საფანტომო კურსში არ ჩანს პირის ღრუს საიზოლაციო სისტემების პრაქტიკული გამოყენება, რაც თანამედროვე სტომატოლოგიისთვის აუცილებელია! არსად არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი კლინიკაში და შესაბამისად პრაქტიკული უნარ-ჩვევაც არ ფასდება. ქირურგიული სტომატოლოგიის სასწავლო კურსის უმეტეს სილაბუსში არ ჩანს რა ფორმით ტარდება გამოცდა, კლინიკაში პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი საათებიც გასასწორებელია.

პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეფასება მეტნაკლებად მისაღებია, თუმცა სტომატოლოგიის სასწავლო კურსების ფინალური გამოცდების უმეტესობაზე ფასდება სტუდენტის თეორიული მომზადება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები - არა.

სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების გარკვეული დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ამის როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. უნივერსიტეტს გააჩნია საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც ყველა სტომატოლოგიური სავარძელი სტუდენტის პრაქტიკული საქმიანობისთვისაა გამოყოფილი. თუმცა ვინაიდან პრაქტიკული კურსების დროს პაციენტის მიღება ნებაყოფლობითია, ხშირად სტუდენტების უმრავლესობა პასიური მაყურებლის როლშია. სტომატოლოგიურ კლინიკაში ასევე მოსაწესრიგებელია სტერილიზაციის და სამედიცინო ნარჩენების საკითხები.

თერაპიული სტომატოლოგია ისწავლება მხოლოდ საფანტომო კურსის რეჟიმში, მე-3, 4, 5, 6 სემესტრებში, უფრო მაღალ სემესტრებში არა. ინტერვიუს შედეგებიდან გამოჩნდა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ პაციენტების მიღება მარტივი და რთული კარიესის დიაგნოზით პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანის დაავადებების სასწავლო კურსის გავლის პერიოდში, რაც არსად არაა გაწერილი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სასწავლო კურსის მოდიფიცირება, ინტეგრირება.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსი, განახლებული ბიბლიოთეკა, სადაც სახელმძღვანელოები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. ასევე უნივერსიტეტს წვდომა აქვს სხვადასხვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელზე.

უნივერსიტეტ „გეომედში“ საკმაოდ ეფექტურად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის,

სტუდენტების ჩართულობით შიდა შეფასების შედეგად ხდება პროგრამის ნაკლოვანებების გამოვლენა და მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად.

სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მიერ პროგრამის მხარდაჭერა და გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

▪ რეკომენდაციები

- საჭიროა პროგრამის მიზნები უფრო მეტად იყოს თანხვედრაში უნივერსიტეტის მისიასთან, განსაკუთრებით, „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების“ განაცხადთან, და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან. გაიწეროს რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგები ან მოხდეს უკვე არსებული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და რედაქტირება;
- სტუდენტებს მიეცეთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობის და საერთაშორისო მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა;
- გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრს უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია (კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 14.2.ა); სტუდენტისთვის პაციენტის მიღება იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა. ჩატარებული მანიპულაციები აისახოს პრაქტიკის ამსახველ დოკუმენტაციაში (მაგ., სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურებში).
- გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, დაემატოს სილაბუსებში გამოტოვებული გამოცდებზე სტუდენტთა შეფასების მეთოდები; სასწავლო კურსების შესასწავლი თემატიკა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. მოხდეს იმ სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომელშიც გარდა კონკრეტული კურსისა, სხვა მომიჯნავე კურსის თემატური პროცედურები და მანიპულაციები შეისწავლება.
- სპეციალიზაციის საგნებში, განსაკუთრებით კლინიკურ პრაქტიკულ კურსებზე, ფინალური გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასებაც.
- მოწესრიგდეს საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის სტერილიზაციის და ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხი. ნარჩენების დროებითი სათავსი გაკეთდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის 294-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - სასურველია პროგრამის მიზნები უფრო ნათლად ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;
 - სასურველია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც განსაზღვრული იქნება ახლო მომავალში განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები მეტი საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად და გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად;
 - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვისას შესაფასებელი მანიპულაციის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად გაიწეროს სტუდენტის შეფასების ფურცელი, შეფასებისთვის საჭირო დრო, სადგურების რაოდენობა
 - საჯარო ლექციების, ტრენინგების, უწყვეტი-პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობა. რადგან უნივერსიტეტისთვის კვლევა პრიორიტეტია, მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვლევითი სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა;
 - განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება სხვა უსდ-ებისგან და პროფესიული ასოციაციებისგან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
 - წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები: გაიზარდა არჩევითი საგნების მოცულობა, განახლდა ინვენტარი, ლაბორატორიული ხელსაწყოები, უნივერსიტეტი აღიჭურვა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით;
 - გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაემატა აუდიტორიები, გაფართოვდა საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა და საფანტომო კლასი, გაიხსნა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, გაუმჯობესდა ბიბლიოთეკა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სტომატოლოგიის პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, არის რეალისტური და მიღწევადი. მიზნებში ჩანს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შექმნაზეა ორიენტირებული ეს პროგრამა.

პროგრამის მიზნები უმეტესწილად თანხვედრაშია გეომედის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი (მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით) უკვე განხორციელების პროცესშია.

თუმცა, პროგრამის მიზნებში ნაკლებად ჩანს მათი თანხვედრა გეომედის მისიის უპირველეს განაცხადთან, როგორცაა „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება“. გარდა ამისა, პროგრამის მიზნებში ნაკლებად არის ასახული გეომედის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული საკითხები.

პროგრამის მიზნები ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, მიმართულია სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებისაკენ.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია გეომედის ვებ-გვერდზე.

პროგრამის მიზნები (მაგალითად, აქცენტირება როგორც კლინიკური უნარების შექმნაზე, ასევე, ეთიკური საკითხების ცოდნაზე) უმეტესწილად გაზიარებული და გააზრებული აქვთ მის განხორციელებაში ჩართულ პირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- პროგრამის მიზნები
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

| |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> ○ საჭიროა პროგრამის მიზნები უფრო მეტად იყოს თანხვედრაში უნივერსიტეტის მისიასთან, განსაკუთრებით, „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების“ განაცხადთან, და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან. |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია პროგრამის მიზნები უფრო ნათლად ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; ○ სასურველია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, სადაც განსაზღვრული იქნება ახლო მომავალში განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები მეტი საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად და გაცვლითი პროგრამების ასამოქმედებლად. |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| <p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თვითშეფასების ანგარიშზე, საგანმანათლებლო პროგრამასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგების აღზრდა, კურსდამთავრებულებისთვის თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა. პროგრამის სწავლის მისაღწევი შედეგების ჩამონათვალში ჭარბობს თეორიული ცოდნის ხვედრითი წილი, კურსდამთავრებულის მიერ შემენილი პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია, იმის გათვალისწინებით, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული მეტ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს (რაც უნივერსიტეტში მეტწილად ფანტომებზე მუშაობის გზით</p> |

მიიღწევა), მიზანშეწონილი იქნება, პროგრამის სწავლის შედეგების კლინიკური და პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი იყოს უფრო დეტალიზებული, ჩანდეს, კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სტომატოლოგიის პროგრამის დასრულების შემდეგ და თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტისთვის პროგრამის მიხედვით სავალდებულო არ არის პაციენტის მიღება და ინტერვიუს შედეგებითაც დადგინდა, რომ ეს ნებაყოფლობითია, ის რომ სტუდენტს შეეძლება "საანესთეზიო საშუალების რელევანტურად და უსაფრთხოდ გამოყენება" არასწორია, უმჯობესია მითითებულ იქნას, რომ აღნიშნული მანიპულაციების ჩატარება სტუდენტს შეეძლება ფანტომზე ან მანეკენზე. (სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული იქნება კონკრეტული ქულა).

შედეგების ჩამონათვალში ზოგიერთი პუნქტი აპრიორში გარკვეული სტუდენტებისთვის მიუღწევადია, მაგ; თუ გავითვალისწინებთ, რომ საგანი "ლათინური ენა" არჩევითია, ყველა სტუდენტი ვერ შეძლებს "ლათინურ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნას და სამედიცინო დასკვნასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემების რეგისტრაციას და წაკითხვას".

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ყოველი სემესტრის ბოლოს იმართება საკონსულტაციო შეხვედრები, ანალიზდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება მომდევნო სემესტრებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა. პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მუშავდება რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები შემდგომი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული პროცესების ფარგლებში ხორციელდება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასება და განსაზღვრა. პროცესს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

რეკომენდაციები:

- მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა მიერ კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ, სტუდენტისთვის პაციენტის მიღება უნდა იყოს

| |
|--|
| <p>სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა.</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგების გაწერა ან უკვე არსებული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და რედაქტირება |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | * | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში სტომატოლოგიის ფაკულტეტზე.

გარდა ამისა, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირები ქართულ ენაში ტესტირების წარმატებით გავლის ან ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე უფლებამოსილი არიან ისწავლონ უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამით. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა კი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №02, 11.02.2019წ.; რექტორის ბრძანება №36, 11.02.2019წ.)
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვ.) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრი და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება.

კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო.

პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებს, პროგრამა მიმართულია სტომატოლოგიის აუცილებელ საბაზისო ცოდნასა და გარკვეული სახით პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების თანახმად, 1 ECTS კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს. აღნიშნული დათქმა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს თითოეული სასწავლო დისციპლინისათვის საათობრივი დატვირთვისა და კრედიტებით გაანგარიშებისათვის.

სტომატოლოგიის სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამა არის 5 წლიანი, შედგება ათი სემესტრისაგან, მოიცავს 300 კრედიტს.

კრედიტების რაოდენობა საბაზისო და კლინიკური კურსების მიხედვით შემდეგნაირადაა არის გადანაწილებული, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები შეადგენს 286 კრედიტს, ხოლო თავისუფალი კომპონენტი შეადგენს 14 კრედიტს. მათი დეტალური გადანაწილება ასეთია:

- საბაზისო სავალდებულო კურსები - 64 კრედიტი;
- სტომატოლოგიის საფანტომო სავალდებულო კურსები - 44 კრედიტი;
- სტომატოლოგიის კლინიკური სავალდებულო კურსები - 106 კრედიტი;
- კლინიკური სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი;
- ზოგადი სავალდებულო კურსები - 27 კრედიტი;
- სამეცნიერო უნარ-ჩვევების სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი კურსები - 14 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია უსდ-საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სწავლის შედეგები, თუმცა გარკვეული დისციპლინების შემთხვევაში, სასწავლო კურსის სილაბუსებში აღინიშნებოდა ხარვეზები, უზუსტობები, არათანმიმდევრული თემატიკა, რაც უარყოფითად მოქმედებს სასწავლო კურსის შედეგებსა და კომპეტენციების შესაბამისობაზე. აუცილებელია სასწავლო კურსის სილაბუსები, მისი სტრუქტურა, თემატიკა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული, რაც სწავლის შედეგების მიღწევას შესაძლებლობის პირდაპირპროპორციულია.

| |
|---|
| |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; |
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსების შესასწავლი თემატიკა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <p>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|--|
| <p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ძირითადი აქცენტი სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, ასევე საკმარისადაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა, ექიმების ასისტირება და მცირე დოზით, არასავალდებულო, არსად გაწერილი მარტივი მანიპულაციების ჩატარება პაციენტებზე საკმარისი არაა პროგრამის მიზნად დასახული კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად.</p> |

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად, თითოეულ სასწავლო კომპონენტის დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. თითოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის მუშაობისთვის განკუთვნილ საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს.

სილაბუსები წარმოდგენილია უმეტესწილად უახლესი ლიტერატურით, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურა მოითხოვს განახლებას ან დამატებითი ლიტერატურის ან ჰენდაუთების დამატებას (მაგ., პაროდონტოლოგია). ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტს მის ელექტრონულ ბაზაში აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სილაბუსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ქსეროასლები ან ელექტრონული ვერსიები, გარდა ამისა უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია, გაპარულია შეცდომები: თერაპიული სტომატოლოგია საფანტომო 1 - საუბარია დიფერენციალურ დიაგნოზებზე, სტომატოლოგიურ ავადმყოფთა ანკეტირებაზე, ანამნეზის შეგროვებაზე, მაშინ როცა დაავადებები ჯერ არ აქვთ ნასწავლი. თერაპიული სტომატოლოგია საფანტომო 2 - გაპარულია შეცდომები კარიესული დეფექტების ლოკალიზაციისა და კლასების შესაბამისობაში, ფანტომზე ისწავლება ადგილობრივი გაუტკივარება, რაც უმჯობესია ქირურგიულ სტომატოლოგიაში გადავიდეს, თერაპიული სტომატოლოგია საფანტომო 3 და 4 (ენდოდონტია): დასალაგებელია პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა, მე-5 სემესტრში ისწავლება არხების ობტურაციის მეთოდები, მაშინ როცა სტუდენტები კბილის ღრუს გახსნას და არხების ინსტრუმენტულ დამუშავებას მე-6 სემესტრში სწავლობენ, რაც ჩვენი აზრით არათანმიმდევრულია. სტუდენტების მიერ შესრულებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევების ჩამონათვალში მითითებული თერაპიული სისტემით და სითბური კომპაქციის მეთოდით ობტურაცია რეალურად ვიდეოჩვენებით შეისწავლება, რაც სილაბუსშიც უნდა იყოს დაკონკრეტებული. არც ერთ საფანტომო კურსში არ ჩანს პირის ღრუს საიზოლაციო სისტემების პრაქტიკული გამოყენება, რაც თანამედროვე სტომატოლოგიისთვის აუცილებელია! არის უზუსტობები პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანის სასწავლო კურსის სილაბუსებში: ლორწოვანის სილაბუსებში კურაციული სწავლების შინაარსი პაროდონტოლოგიის იდენტურია, არსად არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი და შესაბამისად პრაქტიკული უნარ-ჩვევაც არ ფასდება. ქირურგიული სტომატოლოგიის სასწავლო კურსის უმეტეს სილაბუსში არ ჩანს რა ფორმით ტარდება გამოცდა, კლინიკაში პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი საათებიც გასასწორებელია.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება, მაგრამ სილაბუსებში ეს შეფასება, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარ-ჩვევების, საჭიროებს დეტალიზებას.

სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების გარკვეული დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ამის როგორც მატერიალური,

ისე ადამიანური რესურსი. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, რომელშიც ყველა სავარძელი გამოყოფილია სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობისთვის. სტუდენტებთან სტომატოლოგიური მომსახურების ღირებულების შესახებ ინტერვიუს სხვადასხვა შედეგი მივიღეთ. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მომსახურება შეღავათიანია, პედაგოგების ინფორმაციით - სრულიად უფასო. ფაქტია, რომ სტუდენტებისთვის პაციენტების მიღება არის ნებაყოფლობითი, ამაში ისინი არანაირ ქულას არ იღებენ, შესაბამისად არც ფასდებიან. ჩნდება ეჭვი, რომ პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტთა ნაწილი უბრალოდ პასიური მყოფები არიან.

თერაპიული სტომატოლოგია ისწავლება მხოლოდ საფანტომო კურსის რეჟიმში, მე-3, 4, 5, 6 სემესტრებში, უფრო მაღალ სემესტრებში არა. ინტერვიუს შედეგებიდან გამოჩნდა, რომ პაციენტებს შეუძლიათ პაციენტების მიღება მარტივი და რთული კარიესის დიაგნოზით პაროდონტოლოგიისა და ლორწოვანის დაავადებების სასწავლო კურსის გავლის პერიოდში, რაც არსად არაა გაწერილი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სასწავლო კურსის მოდიფიცირება, ინტეგრირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრს უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია;
- გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად.
- მოხდეს იმ სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომელშიც გარდა კონკრეტული კურსისა, სხვა მომიჯნავე კურსის თემატური პროცედურები და მანიპულაციები შეისწავლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უმეტესწილად ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში.

პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას უმეტესწილად დაწესებულებაში არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში იღებენ. თუმცა, დაწესებულებას არ წარმოუდგენია ამ კლინიკაში პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია (მხოლოდ პაციენტის ამბულატორიული ბარათი, რომელიც ივსება ექიმის მიერ). მიუხედავად ამისა, სტუდენტებთან ინტერვიუებისა და კლინიკის დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებს თავისუფალი წვდომა აქვთ პრაქტიკის ამ ობიექტზე.

ვიზიტის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სტომატოლოგიის პროგრამის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა სტუდენტების თანავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც წარდგენილი იყო დაწესებულებაში ჩატარებულ კონფერენციებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტუდენტებს დაწესებულების შენობაში არსებულ კლინიკასთან და სხვა პრაქტიკის ობიექტებთან თავისუფალი წვდომა აქვთ, უმჯობესია ამ პროცესზე ფორმალიზებული დაკვირვება და პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაციის (მაგ., სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების) წარმოება.

| |
|--|
| |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| <p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> |
| <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული საწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტნაკლებად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>კერძოდ: დიდი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და კონცენტრირებულია ინტერაქტიური ლექციების, რეფერატების და პრეზენტაციების, დისკუსიების და ანალიზის სტილით, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება ხდება მანეკენებსა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და ყურებით, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარებით, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან მეტი დოზით დამოუკიდებლად მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება (მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ) აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; |
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, პროფესორის და მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და |

| |
|--|
| პაციენტთან მუშაობა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| 2.6. სტუდენტების შეფასება |
| <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სილაბუსებში გაწერილია სწავლების შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც მეტნაკლებად ითვალისწინებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას. თითოეულ საგანში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად.</p> <p>პროგრამაში ყოველდღიური შეფასება ხდება ქვიზის, დისკუსიის, ანალიზის, ფანტომ-მულაჟებზე ჩასატარებელი მანიპულაციების სახით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, თუმცა სასწავლო კურსების გარკვეულ სილაბუსებში გამორჩენილია გამოცდაზე სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები და გზები.</p> <p>დისციპლინების უმრავლესობაში ფინალური გამოცდები არის წერით ფორმატში (ტესტი და სიტუაციური ამოცანა). სასურველია სტომატოლოგიის სპეციალიზირებულ საგნებში გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასებაც. გარდა სტუდენტის თეორიული ცოდნისა, აუცილებელია შემოწმდეს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის გავლის დროს შეძენილი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ანამნეზის შეკრების, სავარაუდო დიაგნოზის დასმის, კომუნიკაციის, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარები.</p> <p>უნივერსიტეტში მიმდინარეობს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა, რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც, თუმცა სადგურების დეტალიზაციის გარეშე. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ გამოცდის ეს ფორმა სავარაუდოდ წელს უკვე ამოქმედდება.</p> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; |

| |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; |
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, დაემატოს სილაბუსებში გამოტოვებული გამოცდებზე სტუდენტთა შეფასების მეთოდები; ○ სპეციალიზაციის საგნებში, განსაკუთრებით კლინიკურ პრაქტიკულ კურსებზე, ფინალური გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასება. |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვისას შესაფასებელი მანიპულაციის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად გაიწეროს სტუდენტის შეფასების ფურცელი, შეფასებისთვის საჭირო დრო, სადგურების რაოდენობა |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტში მიმდინარეობს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | * | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის განმავლობაში გამოვლინდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სტუდენტებს აქვთ ღია და პირდაპირი ურთიერთობა ადმინისტრაციულ პერსონალთან, სათანადო კონსულტაციებს იღებენ და ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, კარიერული განვითარების და სხვა საკითხებზე.

საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები.

დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება კონფერენციები, სადაც სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ მონაწილეობისა და თეზისების გამოქვეყნების შესაძლებლობა.

ვიზიტის დროს გეომედმა წარმოადგინა გასულ სასწავლო წელს ჩატარებული იმ აქტივობების სია, რომლებშიც სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები იყვნენ ჩართული.

დღეისათვის სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ თავად სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მიერ შეთავაზებულ საერთაშორისო პროექტებში და ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და გაცვლით პროექტებში, ასევე ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასულ სასწავლო წლებში საერთაშორისო პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები

რეკომენდაციები

- სტუდენტებს მიეცეთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობის და საერთაშორისო მობილობით სარგებლობის მეტი შესაძლებლობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

| |
|---|
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <p>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | * | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| |
|---|
| <p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი |
|---|

- ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია:

- ა) დარგის/ქვედარგის სპეციფიკა;
- ბ) სტუდენტების არსებული რაოდენობა;
- გ) სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა;
- დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების რაოდენობა;

პროგრამაში ჩართულია შემდეგი აკადემიური პერსონალი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი. პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უნივერსიტეტ „გეომედში“ მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შემდგომ შედეგების ანალიზს, რისთვისაც შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის გამოკითხვის ფორმები.

პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით. მიმდინარეობს მონიტორინგი, რომლის დროსაც ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება, სილაბუსის შემოწმება, პერსონალის პროგრამების

შემუშავებაში მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა, პროფესორ მასწავლებლების ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება.

სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება მნიშვნელოვანია, რისთვისაც

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმებს; სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის შუაში და სემესტრის ბოლოს; გამოკითხვა მიმდინარეობს ანონიმურად და აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა; სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი და ხორციელდება რეკომენდაციების წარდგენა პროგრამების შემდგომი მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნით.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესულ განვითარებაზე და ამასთანავე სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას აწარმოებს შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში;

| |
|--|
| |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| <ul style="list-style-type: none"> ○ სტომატოლოგიის ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №01,25.01.2019წ, რექტორის ბრძანება №20, 25.01.2019წ.); ○ აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები; ○ დატვირთვის ბადაე ○ სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №05, 08.05.2018წ, რექტორის ბრძანება №145, 08.05.2018წ.); |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
| <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი სისტემატურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტუდენტთა მიერ, რაც აისახება სპეციალური გამოკითხვის ფორმებში, თუმცა ინტერვიუს დროს არ გამოიკვეთა იმ კლინიკების მონიტორინგის სქემა, რომელთანაც გაფორმებული აქვთ მემორანდუმი. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს</p> |

კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ჩაუტარდათ მეთოდოლოგიური ტრენინგი "თანამედროვე სწავლის მეთოდები". უნივერსიტეტში წელიწადში ორჯერ იმართება სამეცნიერო კონფერენციები. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ბიუჯეტი სამომავლოდ აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობაში ჩართვის და უწყვეტი პროფესიული ზრდისთვის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
 - ინტერვიუს შედეგები;
 - პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- საჯარო ლექციების, ტრენინგების, უწყვეტი-პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობა. რადგან უნივერსიტეტისთვის კვლევა პრიორიტეტია, მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვლევითი სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საფანტომო სწავლების განახლებული კაბინეტი, კაბინეტების და კლინიკის აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა საკმარისია სტუდენტებისთვის ბაზისური ცოდნის მიწოდებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. თუმცა, უნივერსიტეტში არსებულ

სტომატოლოგიურ კლინიკაში, ნარჩენების მართვის ოთახში მოთავსებულია კომპრესორი, იგივე სივრცე გამოიყენება სათავსოდ და ამავდროულად გამოსაცვლელ ოთახად, რაც ყოვლად დაუშვებელია.

აუცილებელია სტომატოლოგიური ენდოდონტიური ინსტრუმენტების სასტერილიზაციო ქაღალდში შეფუთვა, ვიზიტის დროს ინსტრუმენტები პეტრის ფინჯანში ინახებოდა, ასევე ყველა შეფუთულ ინსტრუმენტებს უნდა ეწეროს გასტერილების თარიღი და სასტერილიზაციო ჟურნალში ეკრას შესაბამისი მარკერები.

აღსანიშნავია, რომ გარემონტდა ახალი სივრცე მეორე სტომატოლოგიური კლინიკისთვის, სადაც გამოყოფილია ფართი ახალი სასტერილიზაციო ოთახისთვის და რადიოგრაფიული კვლევისთვის. უნივერსიტეტს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემდეგ დაგეგმილი აქვს კიდევ 5 სტომატოლოგიური დანადგარის შეძენა და სწავლის პროცესში მათი პრაქტიკული გამოყენება. უნივერსიტეტმა აუდიტორიები განაახლა პროექტორებით და ეკრანებით, თუმცა მეტწილად აუდიტორიები აღჭურვილია დაფებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ანატომიის ოთახი, ახალი პათომორფოლოგიური ლაბორატორია, ციტოლოგიის კაბინეტი აღჭურვილი მიკროსკოპებით, კლინიკური უნარების კაბინეტები, სხვადასხვა სასწავლო ფანტომებით, კომპიუტერული საგამოცდო კლასები სულ, 60-კომპიუტერით და მოსამზადებელი ოთახი პირადი ნივთების შესანახად. უნივერსიტეტში პირველ სართულზე მდებარეობს საკონფერენციო დარბაზი გათვლილი 90 პერსონაზე. განახლებული ბიბლიოთეკა, სადაც სახელმძღვანელოები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. ასევე უნივერსიტეტი მიერთებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელს. უნივერსიტეტში დაწყებულია კვებითი ობიექტის რემონტი. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული თუ სალექციო მეცადინეობები, აკვირდებიან ექიმების მუშაობას და ასისტირებენ მათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- შესყიდვა-ჩაბარების აქტები;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- მოსაწესრიგებელია ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხი. ნარჩენების დროებითი სათავსი გაკეთდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის 294-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.
- მოსაწესრიგებელია სტერილიზაციის საკითხები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

| |
|--|
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ადაპტირებული გარემო |
| <p>შეფასება</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის პროგრამის (ფაკულტეტის) ბიუჯეტში გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის მიერ პროგრამის მხარდაჭერა და გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამის ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები. აღნიშნულთან დაკავშირებით უსდ-ის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ-ს შეუძლია დამატებითი თანხები გამოყოს სარეზერვო ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

| |
|--|
| <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
|-----------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|

| | | | | |
|-----------------------------------|---|--|--|--|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | * | | | |
|-----------------------------------|---|--|--|--|

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტ „გეომედში“ მოქმედებს ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით შიდა შეფასების შედეგად ხდება პროგრამის ნაკლოვანებების გამოვლენა და მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად.

სტუდენტებში ტარდება გამოკითხვები როგორც პროგრამასთან დაკავშირებულ, ასევე, ადმინისტრაციულ საკითხებზე. ვიზიტისას წარმოდგენილი იყო მაგალითები, როცა სტუდენტების შეფასებებზე დაყრდნობით პროგრამაში შევიდა ცვლილებები. აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ ისინი ერთობლივად მუშაობდნენ პროგრამის შიდა შეფასებაზე და ცვლილებების შეტანაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული და მიღებული პერიოდულობით, პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე სტუდენტი მონაწილეობას ღებულობს შიდა ხარისხის შეფასებაში კითხვარების ელექტრონული სახით შევსებაში, რომელიც ანონიმურია. მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება პროგრამის განხორციელების გაუმჯობესება, უკეთესი შედეგის მისაღწევად. პროგრამის შეფასებისათვის შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია პროგრამის მინდინარეობის პროცესში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა საკითხების ანალიზს:

- სტუდენტთა მიერ ლექტორის და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარის ანალიზს;
- აკადემიურ და მოწვეული პერსონალის მიერ, პროგრამის და სერვისების შეფასების კითხვარის ანალიზს;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედური შეფასების ქულათა რანჟირებას;
- სტუდენტთა დასკვნითი შედეგების შეფასებას;
- სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შეფასებას;

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) ანკეტა/კითხვარების შედეგები შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება <ul style="list-style-type: none"> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| <h2>5.2 გარე ხარისხის შეფასება</h2> |
| <p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული აკრედიტაციის გზით. წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები. 2019 წლის ოქტომბრის თვეში სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი გეგმავს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას, რომელსაც უსდ გუნდთან ერთად განახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, გარე ექსპერტის სტატუსით.</p> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ინტერვიუს შედეგები სტრატეგიული განვითარების გეგმა თვითშეფასების ანგარიში |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

| |
|--|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
| <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ხარისხის სამსახურის უშუალო ჩართულობით.</p> <p>უსდს თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შეფასება მრავალმხრივია, ჩართულია სამეცნიერო, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ასევე, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თუმცა დამსაქმებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას პროგრამის მოდიფიცირებაში მათი ჩართულობა არ დასტურდება.</p> <p>სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის, ბაზრის კვლევის შედეგების, შეგროვების, დამუშავების და ანალიზის შედეგად, ცვლილება შევიდა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში: დაემატა არჩევითი საგნები, ინგლისური ენის სწავლება ხდება სამი სემესტრის ნაცვლად, ოთხ სემესტრად, მოხდა წიგნობრივი ფონდის გამდიდრება, ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მხრიდან გამოიკვეთა საჭიროება, ლექტორთა შეფასება ხდება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის ლექციებზე დასწრებით და სწავლის პროცესის შეფასებით. სემესტრის ბოლოს ხდება თითოეული სასწავლო კურსის ბოლოს მიღწეული შედეგების შეფასება და პედაგოგებისთვის რეკომენდაციების მიცემა.</p> <p>უნივერსიტეტი იყენებს შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიას. პროგრამა შედეგობრივია, როდესაც იგი პასუხობს ზემოთხსენებული დოკუმენტის დადებით შეფასებას (მალიან კარგი, კარგი), ხოლო საჭიროებს მოდიფიკაციას როდესაც შეფასება დამაკმაყოფილებელია ან უარყოფითი.</p> |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |

| |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) ○ შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019) ○ ბაზრის კვლების ანალიზი ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუს შედეგები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება სხვა უსდ-ებისგან და პროფესიული ასოციაციებისგან. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ ანკეტა/კითხვარები მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა სეგმენტს. ○ პროგრამის შეფასების სიტემა |
| შეფასება <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | * | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | * | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | * | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | * | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | * | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | * | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო კორსანტია 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ეკატერინე ბეშქენაძე

ლანდა ლურსმანაშვილი

ვახტანგ თეზიძე

